ავტორი:

რუსუდან

თაყაიშვილი



სამიზნე აუდიტორია:

მუსიკის

მასწავლებლები

რესურსის ტიპი:

გზამკვლევი - მუსიკა

პრაქტიკული გამოყენება:

მასწავლებელი გამოიყენებს ინტერდისციპლინური პროექტის ,,ჩემი კლიმატმეგობრული სკოლა“ განხორციელებისას

ჩემი კლიმატმეგობრული სკოლა

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებულია ინტერდისციპლინური პროექტი „ჩემი კლიმატმეგობრული სკოლა“, რომელიც გათვალისწინებულია მე-8 კლასში განსახორციელებლად

წინამდებარე გზამკვლევი დაეხმარება მუსიკის მასწავლებლებს

თავიანთი საგნობრივი ნაწილის წარმართვაში

დღე 1

1. მასწავლებელი სვამს კითხვას: როგორ მიუსადაგებდით თქვენთვის სხვა საგნებიდან უკვე ნაცნობი პროექტის - კლიმატის თემას მუსიკის საგანს? მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში და წარადგენენ თავიანთ მოსაზრებებს. მასწავლებელი აჯამებს მათ ნააზრევს.[1]

2. მასწავლებელი სთხოვს, გაიხსენონ ბუნების 4 სტიქია. ასმენინებს მოსწავლეებს სხვადასხვა ხმას, კომპოზიციას, რომლებსაც გაანაწილებენ ცხრილში სტიქიებთან შესაბამისობის მიხედვით, მსჯელობენ შემსრულებელთა შემადგენლობაზე, იხსენებენ, როგორ შეიძლება გამოისახოს სხეულის მოძრაობით წვიმა, ჭექა-ქუხილი, ქარი.

წყალი	ჰაერი	მიწა	ცეცხლი

[1] მოსწავლეების მიერ საინტერესო იდეების შემოთავაზების შემთხვევაში, მასწავლებელმა, სასურველია, იმ მიმართულებით წარმართოს მუშაობა

- https://www.youtube.com/watch?v=vPhg6sc1Mk4&ab_channel=NaturalezaViva-SonidosyPaisajesIncre%C3%ADbles ტალღები

- https://www.youtube.com/watch?v=KDIjEyZ3zTI წვიმის ხმა

- https://www.youtube.com/watch?v=bfOPXxyiCJk ტყის ხანძარი

- https://www.youtube.com/watch?v=OPKZ3uwLGh0

  https://www.youtube.com/watch?v=2yaBxn3wwDQ&ab_channel=obiwan88

  კ. დებიუსი - სიმფონიური სურათი „ზღვა“. ქარისა და ტალღის დიალოგი

  მოსწავლეები თავად განსაზღვრავენ, რომელ სტიქიას მიაწერონ

- https://www.youtube.com/watch?v=AFbEUto4Ocg მ. მუსორგსკი - „ღამე მელოტ მთაზე“ ქარის ხმა

- https://www.youtube.com/watch?v=v8Qah9A1vhU ალექსუს - კომპოზიცია „მიწისძვრა“

- https://www.youtube.com/watch?v=Pcoq8NOwHX8 მასწავლებელი ასმენინებს ქარის ხმას და უჩვენებს კადრებს კინოფილმი-ოპერიდან „რიგოლეტო“; მიუთითებს, რომ ქარის ხმას საორკესტრო ორმოში განთავსებული მამაკაცთა ქორო ასრულებს 1:35-1:40

3. მასწავლებელი ესაუბრება თითოეული ნაწარმოების, შემსრულებელთა შემადგენლობის, ავტორის შესახებ; ისმენს მოსწავლეთა შთაბეჭდილებებს;

4. მოსწავლეებს ეძლევათ დავალება - ჯგუფებში მოიძიონ, დაამუშაონ და წარადგინონ მასალა - სტიქიების შესატყვისი მუსიკალური ნაწარმოებები, ppt პრეზენტაციის ფორმატისა და ვიზუალური ეფექტების გამოყენებით;

5. ჯგუფებს ევალებათ, პრეზენტაცია ინტერაქტიული იყოს და ინტერესს იწვევდეს თანაკლასელებში.

დღე 2-3

6. პრეზენტაციები

   კრიტერიუმები - 1) სტიქიების შესატყვისი მუსიკალური ნაწარმოებების მოძიება[2] და წარდგენა; 2) პრეზენტაციის აგება აუდიტორიის ინტერესების გათვალისწინებითა და მისი მონაწილეობით.

7. დასრულებისას, სასურველია, თვით- და თანაშეფასება.

[2] ძიების პროცესში, სავარაუდოდ, ბევრ მასალას გაეცნობიან, რაც საბოლოო დავალებისათვის გამოადგებათ.

დღე 4-5[3]

8. მოსწავლეები იხსენებენ და აღწერენ კლიმატურ ცვლილებებს თავიანთი პრაქტიკიდან.

9. თემატიკა ნაწილდება ჯგუფების მიხედვით, რომლებსაც ეძლევათ დავალება, შექმნან და წარადგინონ საკუთარი/ რაიმე ნიმუშის მიხედვით მათ მიერ შექმნილი კომპოზიციები (კომპიუტერული ტექნოლოგიებით, ხმითა და სხვადასხვა რესურსით, ცოცხალი შესრულებით ან ჩანაწერის სახით). [4]

10. თითოეული ჯგუფი წარადგენს კომპოზიციას, ასახელებს ინსპირაციის წყაროს, კონცეფციასა და იდეას.

---

[3] დღეები, შესაძლოა, სხვაგვარად გადანაწილდეს მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით.
[4] რეპეტიციები კლასშივე მიმდინარეობს; სავარაუდოდ, დასჭირდება 1 ან 2 გაკვეთილი.